

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 154

(26. 10. 2009 წ.)

სტუ-ს გაზეთ “ტექნიკური უნივერსიტეტის” სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ:

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს გაზეთ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

1. ო. ზუმბურიძე – კოლეგიის თავმჯდომარე- მთ.რედაქტორი;
2. ნ. ბრეგვაძე – რედაქტორი;
3. თ. ჯაგოდნიშვილი – კოლეგიის წევრი;
4. ბ. იმნაძე – კოლეგიის წევრი;
5. რ. ლორთქიფანიძე – კოლეგიის წევრი;
6. ა. შავგულიძე – კოლეგიის წევრი;
7. მ. ზვიადაძე – კოლეგიის წევრი.

2. გაზეთისათვის დამტკიცდეს: ფორმატი-საშუალო, მოცულობა-საშუალო, გამოცემის სიხშირე-ყოველთვიური, ფერი-ფერადი;

3. გაზეთში დაბეჭდილი მასალა დახასიათდეს ფორმებისა და ჟანრების მრავალფეროვნებით; აქტუალური ინფორმაცია, ანგარიში, ინტერვიუ, რეპორტაჟი, ჩანახატი კორესპონდენცია, სტატია, წერილი, ნარკვევი, მიმოხილვა, რეცენზია, ფელეტონი, პამფლეტი, მცირე მოცულობის ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები, განცხადებები და სხვა;

4. გაზეთის პრიორიტეტებად ჩაითვალოს; საგანმანათლებლო რეფორმების არსის, სტუდენტური ცხოვრების, აკადემიური და დამხმარე სასწავლო პერსონალის საქმიანობის, სამეცნიერო და კვლევითი მოღვაწეობის, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების ამსახველი მასალები;

5. იმისათვის, რომ გაზეთი იქცეს ახალგაზრდა ჟურნალისტების აღზრდის ერთგვარ ლაბორატორიად, მიზანშეწონილად ჩაითვალოს სტუ-ის სოციალურ-ჰუმანიტარულ ფაკულტეტთან, ჟურნალისტთა სახელმძღვანელო (სტუდიის ) დაარსება ( ფულადი ანაზღაურების გარეშე)

6. სარედაქციო პორტფელის დროული და სისტემატური შევსების მიზნით: დაევალოს სტუ-ის ყველა ფაკულტეტის დეკანს და საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სტუდენტური ორგანიზაციის ხელმძღვანელს უზრუნველყოს აქტუალური და პრიორიტეტული საგაზეთო მასალების მოძიება და რედაქციაში დაუყონებლივ წარდგენა;

7. რედაქციის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის და სხვა საჭირო მასალებით მომარაგების მიზნით: ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფესორ ქეთი ქოქრაშვილს შეისწავლოს რედაქციის ტექნიკური აღკაზმულობის მხარე და დასახოს და განახორციელოს საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი;

8. ტიპოგრაფიაში გადაცემული დედნის მკითხველისათვის დროულად მიწოდების მიზნით: დაევალოს საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტი“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს, პროფ. ა. შავგულიძეს უზრუნველყოს გაზეთის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი და დროული ტირაჟირება;

9. გაზეთ „ტექნიკური უნივერსიტეტი“ სარედაქციო კოლეგია ანგარიშვალდებულია სტუ-ის აკადემიური საბჭოს წინაშე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორის მ/შ პროფესორი

**ლ. კლიმიაშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი,  
პროფესორი

**გ. სალუქვაძე**

